ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების,
ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის
სხდომის

ო ქ მ ი N18

8.11.2023
სხდომის ჩატარების ადგილი:
ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი
თვითმმართველობის შენობა.
რუსთაველის გამზირი N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის N18 სხდომას თავმჯდომარეობდა კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე .

ესწრებოდნენ :

საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის წევრები: თეა ჯუღელი, მანანა ჩიხლაძე, მარეხი ნიჟარაძე, მიხეილ გიორგაძე, ბესიკ ხამაშურიძე, ხათუნა არველაძე.

სულ : 13 წევრიდან-7 წევრი.

არ ესწრებოდა: ჯემალ ბიბილეიშვილი,ქეთევან ხურციძე, კახაბერ გაბუნია, თედო მესხი, ანა კოხრეიძე, ნინო ჩიკვაშვილი

სულ: 6 წევრი

სხდომის მუშაობაში ესწრებოდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბაქარ მახარაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი.

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ: ,, მოგესალმებით მეგობრებო, დღევანდელ კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომას გახსნილად ვაცხადებ, გეგმა-გრაფიკის გათვალისწინებით, დღევანდელი კომისიის დღის წესრიგს წარმოადგენს- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2023 წლის

ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ აღნიშნული დღის წესრიგის შემდეგ პროექტს:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

ქ-ნ ზეინაბ ბურჯანაძე
ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის დირექტორი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბექა ქებულაძემ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის N18-სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭის ყრით ერთხმად, დაადგინეს.

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველი საკითხი- . ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული სამუშაოს ანგარიშის მოსმენა.

(ანგარიში ოქმს თან ერთ ერთვის)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი ბექა ქებულაძე: „გთხოვთ, ქალბატონო ზეინაბ უფრო დეტალურად წარმოგვიდგინოთ ინფორმაცია თქვენი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ. აქვე მინდა დავამატო, ის, რომ თქვენი დამსახურება ფაქტობრივად ასახული არის ქალაქის თანამედროვეობასთან, რისთვისაც ჩვენის მხრიდან გეკუთვნით დიდი მადლობა“.

ქალბატონი ზეინაბ ბურჯანაძე: ,, მადლობას გიხდით მოწვევისთვის, მინდა გითხრათ რომ შედეგი ყოველთვის არის მაშინ, როცა შენი საქმე ძალიან გიყვარს. მე ვთვლი, რომ მაქსიმალურად ვეცადე ამ წესით გამეკეთებინა ეს საქმე და რამდენი

წელია უკვე, ვეღარც კი მოვთვლით. დაწესებულების მიზანი, რომ მაღალპროფესიული ხელოვნება შეგვექმნა, მიღწეულია და კონკრეტულად, ანსამბლს 2022 წლის 30 დეკემბერს მიენიჭა აკადემიურის სტატუსი, ეს არის დიდი აღიარება. გარდა ამისა, 2023 წლის 6 ივლისს გაიმართა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი. ამ დღეს ფოლკლორის ცენტრის შენობის წინ გაიხსნა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვარსკვლავი. ახლა გაგაცნობთ, მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე ჩატარებულ ღონისძიებებს:

4 იანვარი - დავით აღმაშენებლის ცენტრალური მოედანი. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

8 თებერვალი - დავით აღმაშენებლის ძეგლის პატივგება.
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

16 მარტი - თბილისი. ტელეკომპანია „იმედი“ „ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად „
ქორეოგრაფიული ანსამბლის მონაწილეობა.

2 მაისი - ქუთაისის ცენტრალური ბაღი. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა
გუნდი. (პირდაპირი ჩართვა POST TV-ზე)

2 მაისი - ქუთაისის ცენტრალური ბაღი. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა
გუნდი. (პირდაპირი ჩართვა ტv „იმედზე“)

2 მაისი - რესტორანი „პალადიუმი“. „გვირილობასთან“ დაკავშირებული ქუთაისის სიმღერისა
და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის კონცერტი „გვირილობასთან“
საზეიმო კონცერტი სტუმრებისათვის.

3 მაისი - ლ. მესხიშვილის სახელმწიფო პროფესიული თეატრი. ქუთაისის სიმღერისა და
ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

13 მაისი - ბათუმი. კულტურის ცენტრი-საზაფხულო თეატრი. ქუთაისის სიმღერისა და
ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო კონცერტი.

26 მაისი - ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე.
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ვაჟთა გუნდი.

16 ივნისი - ლ. მესხიშვილის სახელმწიფო პროფესიული თეატრი. ლ. ვაშაკიძის საიუბილეო
საღამო. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი.

6 ივლისი - ლ. მესხიშვილის სახ. პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი.
ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის სოლო
კონცერტი. (ვარსკვლავის გახსნა).

14 ივლისი- ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის
კონცერტი -„ქართული შოუ"

21 ივლისი- ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის
კონცერტი -„ქართული შოუ"

28 ივლისი- ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის
კონცერტი -„ქართული შოუ".

4 აგვისტო - ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის
ქორეოგრაფიული ჯგუფის კონცერტი -„ქართული შოუ".

19 აგვისტო - საფრანგეთი. ლევილის მამული. „ლევილის ქართული ფესტივალი". სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის კონცერტი.
(დაფინანსდა კულტურის სამინისტროდან)

15 სექტემბერი - ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური
ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის კონცერტი -„ქართული შოუ".

19 სექტემბერი - გონიო. „მ. კუხიანიძის სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი-2023". სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მომღერალთა გუნდი.

22 სექტემბერი- ფოლკლორის ცენტრი. სოროპტიმისტ ინტერნაციონალის კლუბ „ქუთაისი-
კოლხას" 10 წლის იუბილე.
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მომღერალთა გუნდი.

24 სექტემბერი - ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. მემილიონე მგზავრის მიღება.
სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მომღერალთა გუნდი.

29 სექტემბერი - ფოლკლორის ცენტრი. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის კონცერტი -„ქართული შოუ“.

17 ოქტომბერი - საფრანგეთი, პარიზი. სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფი. „საქართველო - საფრანგეთის ორმხრივი კულტურული ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის მიზნით“ დიპლომატიური კორპუსის საზეიმო მიღებაში მონაწილეობა. (დაფინანსდა კულტურის სამინისტროდან)

20 ოქტომბერი- ფოლკლორის ცენტრი. აკადემიური ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის სოლო კონცერტი. (სტუმარი -თურქი იმპრესარიო).

გთხოვთ, იამაყეთ ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლით”.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ბატონი მიხეილ გიორგაძე: ,, პირველ რიგში დიდი მადლობა გითხრათ გაწეული საქმიანობისთვის. მინდა შემოვიდე ინიციატივით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში გავმართოთ ქუთაისის დღეები, სადაც მონაწილეონას მიიღებს ჩვენი ანსამბლი. აქ ჩაერთვებიან მოსწავლე-ახალგაზრდობა, მათ გაეზრდებათ მოტივაცია,რომ ნახონ საუკეთესომათი გემოვნების ფორმირებისთვის.“

ქალბატონი ზეინაბ ბურჯანაძე: ,, მადლობა ბატონო მიხეილ ამ ინიციატივისთვის. მჯერა, კულტურის სამინისტრო ამ კარგ საქმეში იქნება ჩვენს გვერდით“.

ქალბატონი ხათუნა არველაძე: ,, ქალბატონო ზეინაბ, როგორია შრომის ანაზღაურება?“

ქალბატონი ზეინაბ ბურჯანაძე: ,, ხელზე ასაღები გახლავთ 700-800 ლარის ოდენობით“.

ქალბატონი მანანა ჩიხლაძე: ,, მადლობა მინდა გითხრათ, რასაც აკეთებთ ამ ქალაქისთვის, აკეთებთ დიდ საქმეს და სახე ხართ ჩვენი ქალაქის“.

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ბექა**

ქებულაძემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ფოლკლორის ცენტრის-სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესახებ, გაწეული სამუშაოს ანგარიში, შეფასდეს დადებითად

ამით კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის სხდომა დასრულდა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების,ახალგაზრდობის
საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე

ზექა ქებულაძე